საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

## პროექტის "მდგრადი და მწვანე ბიზნეს პრაქტიკების განვითარება საქართველოში"

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,მდგრადი და მწვანე ბიზნეს პრაქტიკების განვითარება საქართველოში'' ფარგლებში ა.ა.ი.პ "საქართველოს ფერმერთა ასოციაცია" (GFA) აცხადებს ტენდერს აგრარული პროფესიული განათლების მობილური აპლიკაციის შესამუშავებლად, რაც მოიცავს სოფლის მეურნეობის მიმართულებით მწვანე და მდგრადი პრაქტიკების გათვალისწინებით, მობილური აპლიკაციის შემუშავებას, შრომის ბაზრის მოთხოვნის იდენტიფიცირებისა და მინიტორინგისთვის მექანიზმის ინტეგრირებას, საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის კვლევის შედეგების გაზიარების შესაძლებლობას, აგრონავტის მობილურ აპლიკაციასთან ჰარმონიზაციას, აგრარული ციფრული პლატფორმის (www.agroskills.ge) შესაბამისად, ელექტრონული საგანმანათლებლო ვიდეო რესურსის ინტეგრაციასა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული პროგრამების ჩამონათვალის (www.vet.emis.ge) მობილურ აპლიკაციაში განთავსებას.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის ნაბიჯები გადაიდგა მდგრადი განვითარების მიზნებისა (SDGs) და ევროკავშირის პრიორიტეტების შესაბამისად. სამეწარმეო საქმიანობაში გაჩნდა გარემოსადმი მზრუნველობითი დამოკიდებულება, რამაც ეტაპობრივად დადებითი როლი უნდა ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკაში მწვანე განვითარების ინიციატივების განხორციელებასა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვაში. პროფესიული განათლების საფეხურზე მდგრადი და მწვანე ეკონომიკის განვითარებაში მწვანე უნარების როლი აღიარებულია „საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების (SME) სტრატეგიაში'' 2021 - 2025 წ. ასევე, აღსანიშნავია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების 301-ე მუხლი - „მხარეებმა უნდა განავითარონ და გააძლიერონ თანამშრომლობა გარემოსდაცვით საკითხებზე, რათა ხელი შეუწყონ მდგრადი განვითარების და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი ამოცანის შესრულებას". აღნიშნულის გათვალისწინებით, 2024 წლის ივნისის თვიდან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ,,მდგრადი და მწვანე ბიზნეს პრაქტიკების განვითარება საქართველოში'', განხორციელებული World Vision ავსტრიის, World vision საქართველოს ფონდის, ენერგოეფექტურობის ცენტრისა (EEC) და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) მონაწილეობით, მოიცავს სოფლის მეურნეობაში სექტორული პროფესიული განათლების მობილური აპლიკაციის შემუშავებას, პროფესიული განათლების საფეხურზე მწვანე და მდგრადი პრაქტიკების გათვალისწინებით, შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტისა და ციფრული საგანმანათლებლო ვიდეო რესურსების აპლიკაციაში ინტეგრაციას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მობილურ აპლიკაცია „აგრონავტთან" ჰარმონიზაციას.

პროექტის მიზნების გათვალისწინებით, მწვანე უნარებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო შესაძლებლობები კონცენტრირებული იქნება აჭარის (ბათუმი), კახეთის, თბილისისა და იმერეთის რეგიონებში პროფესიული განათლების ბენეფიციართა საჭიროებაზე, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე. ამრიგად, პროექტი ორიენტირებულია, ხელი შეუწყოს ინკლუზიური და მწვანე ეკონომიკის მდგრადი განვითარების წინაპირობების ჩამოყალიბებას საქართველოში, რაც უზრუნველყოფს მწვანე ბიზნეს პრაქტიკის დანერგვას სოფლის მეურნეობაში, გენდერული დისბალანსის აღმოფხვრასა და მცირე და საშუალო ბიზნესების წარმომადგენელთა საგანმანათლებლო ინტერესების გათვალისწინებას.

# საჯარო ტენდერი

პროექტის დასახელება: „Inclusive Growth through Sustainable and Green Business Practices in Georgia“

შემსყიდველი: ***<u>ა(ა)იპ. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია GFA</u>***

შესყიდვის საგანი: 3 სასწავლო ფილმის, ჯამურად 15 ვიდეორგოლის გადაღება შემდეგი მიმართულებით:

1. 5 ვიდეორგოლი - კარგი სოსოფლო სამეურნეო პრაქტიკები (Good Agricultural Practices);
2. 5 ვიდეორგოლი - სერტიფიცირება და სტანდარტიზაცია (Certification and Standardisation);
3. 5 ვიდეორგოლი - მწვანე ბიზნეს მოდელი (Green Business Model).

მიწოდების პერიოდი: 2026 წლის თებერვალი

გადაღებების ადგილი: დამკვეთთან შეთანხმებით, აუდიტორიული/საველე ლოკაციებია აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს რეგიონები: თბილისი, აჭარა, იმერეთი, კახეთი.

ერთი ვიდერგოლის საშუალო ხანგრძლივობა: 5-10 წთ.

1. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია აცხადებს საჯარო ტენდერს აგრარული მიმართულების **თხუთმეტი ვიდეორგოლის გადაღება - მომსახურებების** შესყიდვაზე.

2. შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

   - დონორი ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და დამკვეთთან კონსულტაციის საფუძველზე, კონტრაქტორის შემოქმედებითი გუნდი შეიმუშავებს სასწავლო ფილმებისა და მათში შემავალი თითოეული ვიდეორგოლის სცენარს და მოიძიებს შესაბამის სპიკერებს (დარგის ექსპერტებს) ვიდეოებში მონაწილეობისთვის. ასევე, უზრუნველყოფს ვიდეორგოლების მაღალი, წინასწარ შეთანხმებული რეზოლუციით გადაღებას, შემდგომ მონტაჟსა და აუდიო-ვიზუალური მასალით გაფორმებას;
   - შერჩეულ სპიკერებთან (დარგის ექსპერტებთან) შეთანხმებით, გადაღებული ვიდეომასალის შესაბამისად, ტესტების პაკეტის - ჯამურად 75 კითხვიანი ქვიზის შემუშავება.
   - ენა: ქართული
   - ფორმატი: 4K (3640X2160); 50 fps-ით (frame - 50). ფორმატი უნდა ითვალისწინებდეს ვიდეოების სოციალურ ქსელებში განთავსებას;
   - ვიდეორგოლებისთვის საბოლოო სახის მიცემამდე, დამკვეთს უნდა მიეწოდოს დამუშავებული მასალების სამუშაო ვერსიები დასადასტურებლად.

3. ფინანსური წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს **დანართი N1** და **დანართი N2 ის შესაბამისად**, ელექტრონულად, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული, დასკანერებული ფორმით. ასევე, პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ პორტფოლიო მათ მიერ გადაღებული ვიდეორგოლების ბმულების მითითებით. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნეს პროექტში მოაზრებული პერსონალის რეზიუმეები.
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

4.1 პრეტენდენტს ვიდეო რგოლების გადაღების მიმართულებით უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება. განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილებას მიენიჭება უპირატესობა.

5. ფასების ცხრილი **დანართი N2** უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს (საჭიროების შემთხვევაში გადამღები ჯგუფის ტრანსპორტირებისა და რეგიონში განთავსების ხარჯების ჩათვლით) და წარმოდგენილ უნდა იქნას დღგ-ს გარეშე (პროექტი - „Inclusive Growth through Sustainable and Green Business Practices in Georgia" სარგებლობს საგადასახადო შეღავათით) ლარში.

6. **<u>გამარჯვებულის გამოვლენა:</u>** მოწოდებულ წინადადებებს შეაფასებს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ შექმნილი კომისია.

**შეფასების ქულების სისტემა**

| **წინადადების შეფასების ქულების სისტემა** | | **ქულა წონა** | **ქულების მიღება** |
|---|---|---|---|
| 1 | პრეტენდენტის გამოცდილება | 30 % | 300 |
| 2 | ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია და როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება | 30 % | 300 |
| 3 | ხარჯების ეფექტურობა | 40% | 400 |
| | | **სულ ქულა** | **1000** |

7. წინადადებების წარმოდგენა უნდა მოხდეს არა უგვიანეს **2026 წლის 12 იანვრის 15:00** საათისა, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: procurement@gfa.org.ge,

8. დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ: ელ. ფოსტა: tgomiashvili@.gfa.org.ge

დანართი N 1

# შ ე მ ო თ ა ვ ა ზ ე ბ ი ს ფ ო რ მ ა

__________ (თარიღი)

ა(ა)იპ “საქართველოს ფერმერთა ასოციაციას”

პრეტენდენტის სახელწოდება: ____________________

- ეთანხმება, გამარჯვებულად გამოვლენის პირობებს.
- ადასტურებს წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვილობას და გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მზადყოფნას.

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

- საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: -------------------------
- იურიდიული მისამართი: -------------------------
- მომსახურე ბანკი დასახელება: -------------------------
- ბანკის კოდი: -------------------------
- საბანკო ანგარიშის ნომერი: -------------------------

უფლებამოსილი პირის თანამდებობა -------------------------

სახელი და გვარი -------------------------

ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

დანართი N 2

# ფ ა ს ე ბ ი ს    ც ხ რ ი ლ ი

| მომსახურების დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი GEL | შემოთავაზებული ფასი GEL* |
|---|---|---|---|
| ვიდეო რგოლი - კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკები | 5 | | |
| ვიდეო რგოლი - სერტიფიცირება და სტანდარტიზაცია | 5 | | |
| ვიდეო რგოლი - მწვანე ბიზნეს მოდელი | 5 | | |

*ფასები მოცემული უნდა **დღგ-ს გარეშე** და უნდა მოიცავდეს ყველა იმ ხარჯს, რაც დაკავშირებული იქნება ვიდეორგოლების მომზადებასთან დაკავშირებულ ტრანსპორტირებასთან, განთავსებასთან, თუ სხვა მსგავს საკითხთან.

პასუხისმგებელი პირი --------------------------

ხელმოწერა --------------------------